აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში

www.abkhazia.gov.ge

ძალა ერთობაშია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
АҞСНЫТӘИ АВТОНОМИАТӘИ АРЕСПУБЛИКА АИХАБЫРА
GOVERNMENT OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში

# 2014








**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში**

***თბილისი, ალ. ყაზბეგის № 42***

*2013 წლის ნოემბერი - 2014 წლის დეკემბერი*

## აფხაზეთი

- საქართველოს უძველესი მხარეა, რომელიც საქართველოს ჩრდილო–დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.
- აფხაზეთში 70–74 % მთებს უკავია, მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, წიაღისეულით, რომელთაგან გამორჩეულია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. ენერგეტიკული რესურსის პოტენციალი 4,2 მლრდ კვტ-ს აღემატება.
- გამოირჩევა მინერალური და სამკურნალო წყლებით.
- საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 32,6% აფხაზეთში მდებარე თბურ და ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა.

### ცნობები უახლესი წარსულიდან

აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე იყო:

- 8 ადმინისტრაციული ერთეული: გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, სოხუმის რაიონი, გულრიფში, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გალი.
- საქართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების 3 ქალაქი: სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი.
- დაბა: ბიჭვინთა, ბზიფი, განთიადი, მიუსერა.



**1989 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზეთში ცხოვრობდა 525 067 პირი**






- აფხაზეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში აფხაზებს თანამდებობების 36% ეკავათ.
- ავტონომიური რესპუბლიკის ნომენკლატურული მუშაკებიდან - 40% აფხაზი.







❖ ყოფილი საბჭოთა კავშირის (ბოლო მოწვევის სესიაზე) უმაღლეს საბჭოში საქართველოდან არჩეული 15 დეპუტატიდან – 8 აფხაზი.

❖ აფხაზეთის 12 მინისტრიდან – 8 აფხაზი.

❖ 8 საქალაქო და რაიონული პროკურორიდან – 5 აფხაზი.

❖ 1991 წლიდან აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 65 დეპუტატიდან 17% რაოდენობის აფხაზებს ეკავათ 28 ადგილი, 45% რაოდენობის ქართველებს – 26, სხვა ეროვნების მოსახლეობის 36% კი 11 დეპუტატის ადგილი.

## ცნობები უახლესი წარსულიდან

აფხაზეთში ყველა პირობა იყო შექმნილი აფხაზი ეროვნების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის: სამეცნიერო ცენტრები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტი, აფხაზური, რუსულ-აფხაზური, აფხაზურ-სომხური, აფხაზურ-ქართული სკოლები. საბავშო ბაღები, თეატრები, სახელმწიფო ანსამბლები, აფხაზური რადიო (მაუწყებლობა ქართულ, აფხაზურ, რუსულ ენებზე), აფხაზეთის მემორიალური მუზეუმები, აფხაზეთის კომპოზიტორთა, მწერალთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირები, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. 1991 წლისთვის აფხაზეთში 46 სამედიცინო დაწესებულება, 130 ამბულატორია-პოლიკლინიკა იყო. აფხაზურ ენაზე გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები.



## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის საზრუნავი და სამოქმედო არეალი

სამოქმედო არეალი – საქართველოს არაოკუპირებული მხარეები.

საზრუნავი – აფხაზეთიდან დევნილები და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი.

მრავალრიცხოვანი გვარები – კვარაცხელია, შონია, გოგოხია, ქარდავა, შენგელია, ფიფია, კოპალიანი, ყოლბაია, თოდუა, ჭანტურია, სიჭინავა.

მსოფლიოს 43 ქვეყანაში ორმაგი მოქალაქეობა მიღებული აქვს 4748 დევნილს, მათ შორის რუსეთში – 4547-ს, უკრაინაში – 43-ს, საბერძნეთში – 36-ს და სხვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ეყრდნობოდა რა დევნილობაში ყოფნის 20-წლიან გამოცდილებას, 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრამდე, დადებითი და უარყოფითი შედეგების ჯანსაღი ანალიზის საფუძველზე, შეადგინა სამოქმედო პროგრამა, რომლის განხორციელებას ხელი შეუწყო საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული ახალი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულმა კურსმა, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველი ორგანოების არჩევნების შემდეგ დამდგარმა რეალობამ.
მთავრობამ განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ გააძლიერა მუშაობა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით.
მთავრობამ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის სრულყოფაზე საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან მისი სრული შესაბამისობის მიზნით.
დაისახა და გატარდა სტრუქტურული რეფორმები ოპტიმიზაციისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.
მთავრობა მტკივნეულად, მაგრამ ფრთხილად ამსხვრევდა იმ სტერეოტიპებს, რომლებმაც ხელი შეუშალა ქვეყნის და ხალხთა ერთიანობას.
იმ ფონზე, როცა რუსეთის ფედერაცია იწვევს მთელ მსოფლიოს და ახდენს საქართველოს ტერიტორიის და იქ მცხოვრები ხალხის დაპყრობას, არაფრად აგდებს საერთაშორისო სამართალს, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მუშაობის მთავარ პრიორიტეტებად იკვეთება: საერთაშორისო დონეზე აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების წინ წამოწევა, ეთნიკური წმენდის ფაქტების ფართოდ გაშუქება, განსხვავებული მიდგომების, ხედვების, მექანიზმების შემუშავება, დევნილთა ფსიქოლოგიური, სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, აფხაზეთში არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახალი თაობის განათლების, სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა – 227283




## ლეგიტიმური მთავრობა ხალხთან

<u>ერთ წელიწადში:</u>

❖ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ჩაატარა 6 გასვლითი სხდომა რეგიონებში.

❖ დევნილებს და საზოგადოებას ჩააბარა 6 და 9 თვის ანგარიშები, წარადგინა ინფორმაცია ჟენევის მოლაპარაკებებზე.

❖ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და მთავრობის წევრების გასვლა დევნილთა განსახლების ადგილებზე 200-ზე მეტი იყო.







**2014 წლის 10 ივნისს დაფუძნდა აფხაზეთის სოციალური სოლიდარობის ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა მრავალი პრობლემის გადაწყვეტას**



**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა მოუწოდებს ყველას გააძლიეროს ფონდი, დაიცვას იძულებით გადაადგილებული პირები!**



## საქართველოს მთავრობა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ხალხისთვის

თანადგომა ყველგან და ყველაფერში - ესაა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მთავარი ნიშანი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხებში. საქართველოს მთავრობის წევრები მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის სხდომების მუშაობაში.





სისტემატიური ხასიათი აქვს შეხვედრებს დევნილთა უმწვავესი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

დევნილთა 50% სოფლებში ცხოვრობს. ეს ფაქტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს და აქტიურადაა ჩართული აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის პროგრამების განხორციელებაში.

განმტკიცდა ერთობლივი მუშაობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან, დაიხვეწა ურთიერთობის ფორმები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს პარლამენტთან.







## ჟენევის მოლაპარაკებები:

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა იმართება. პირველი სამუშაო ჯგუფი იხილავს ძალის გამოუყენებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას, ხოლო მეორე - დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და სხვა ჰუმანიტარულ საკითხებს, კერძოდ:

- ❖ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება;
- ❖ აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული და რელიგიური ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია;
- ❖ საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება;
- ❖ შვილმკვდარი დედებისთვის ნებართვა აფხაზეთის რეგიონში შვილების საფლავების მონახულებისთვის.

## ახალი ხედვები, ახალი მიდგომები



ერთი წლის განმავლობაში მოხერხდა თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. შეხვედრებზე თბილისის მერიასთან (მთავრობასთან), თბილისის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წევრებმა, სხვადასხვა სტრუქტურების ხელმძღვანელებმა განიხილეს აფხაზეთის მთავრობის მიერ შემუშავებული კომპლექსური პროგრამა, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

### განისაზღვრა პრიორიტეტები:

დევნილთა ჯანმრთელობის დაცვა; საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის ფონზე დევნილთათვის თანადაფინანსებაში ხელშეწყობა; დევნილთა განათლება, კულტურის და სპორტის განვითარება, სამეცნიერო-აკადემიური მიმართულებით მუშაობის გააქტიურება; ოკუპირებულ აფხაზეთში ქართულ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; C ჰეპატიტის მკურნალობამდე გამოკვლევების დაფინანსება; ქ. თბილისში არსებული, დევნილთა საცხოვრებელი ბინების პრივატიზება; საუკეთესო მონაცემების და წარმატებული სტუდენტების თანადაფინანსება.



### აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია

| | |
|---|---|
| ომში დაღუპულთა ოჯახები<br>I ჯგუფის ინვალიდები<br>დედ-მამით ობლები<br>მარჩენალდაკარგულები<br>მრავალშვილიანი ოჯახები<br>ვეტერანები<br>უნარშეზღუდული ბავშვები | 2829 პირს<br>336407 ლარის ოდენობით |

**ჰუმანიტარული დახმარება მთავრობიდან გადაეცა 350 დევნილ ოჯახს**

## საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობა ერთად

გაუმჯობესდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესწრეებთან, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო ჰუმანიტარული ღონისძიებების ჩატარების დევნილთა დახმარების კუთხით.

**სამიზნე ცენტრები:**

აფხაზეთის №2, №3 საჯარო სკოლები, დაბა სურამი, კახეთი, სენაკი, ქ. თბილისი (სამგორი, გლდანის მე-3 მიკრორაიონი, ლილო, ჩუბინაშვილის №30, ცაიშის №36, ვარკეთილი, ჯავახეთის №68, სასტუმრო „ბახტრიონი“.) ზუგდიდი, ქ. გორი, თელავი, აბაშა (აბაშის პირის სკოლა, აბაშის რუსული სკოლა, №2 ბაგა-ბაღი, პროფსასწავლებლის I და II კორპუსი), ცხვარიჭამია და სხვა.

**დონორები:**

- ❖ USAID;
- ❖ აფხაზეთის ბიზნესმენთა, ადვოკატთა და ჟურნალისტთა ასოციაცია –„კავშირი“;
- ❖ „ამქორი“, „კოკა-კოლა“, „სანტე,“ „მეგაკო,“ „ტკბილი ქვეყანა,“ „სმარტი,“ „გაგრა +”, „მითანა”, „ხარება”, „თელიანი ველი”, „IDS ბორჯომი საქართველო”, „იფქლი”, „კანი”, „ჯისი”, „კანტი”, შპს „ბადაგონი”, „თბილისის ფქვილი” და „ბავშვთა სამყარო”.

❖ საქართველოში არაკომერციული კორპორაცია „Honor Vitae“-ს მიერ დახმარება გაეწია 1000-მდე ოჯახს





## მეგობრები და პარტნიორები





## აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის შეხვედრები

- თურქეთის ელჩთან ზექი ლევენთ გუმრუქჩუსთან.
- თურქეთის პრემიერ-მინიტრის აპარატის წარმომადგენელ მუსტაფა ქორქმაზისთან.
- სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისთან.
- პოლონელ ექსპერტებთან საგანმანათლებლო სფეროს რეფორმებისათვის.
- ნატოს წარმომადგენლობასთან.









**<u>იტალიის საელჩო</u>**

**<u>ლატვიის საელჩო</u>**

**<u>ლიტვის საელჩო</u>**

2014 წლის ოქტომბერში „მშვიდობის მარათონში“ მონაწილე ქართველი, აფხაზი, ოსი, შერეული ოჯახის ბავშვებისათვის ვიზები უსასყიდლოდ გასცა.

**<u>შვეიცარიის საელჩო</u>**

განხორციელდა პროექტი - „მეცნიერება, განათლება, კულტურა და სპორტი – მშვიდობის რესურსები“







**<u>ესტონეთის დელეგაცია</u>**

მათი სტუმრობა მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა.

**<u>იაპონია</u>**

2008 წლის ომის შემდეგ სისტემატურად ეხმარება აფხაზეთიდან დევნილებს. 100 ათასი დოლარის სამედიცინო აპარატურა გადასცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემას.

**<u>ესპანეთი</u>**

ფონდი „FINSOL“ - სოციალურად დაუცველი ბავშვები 2014 წელს 2 თვე ისვენებდნენ ესპანეთში.

**<u>საბერძნეთი</u>**

საელჩოს დახმარებით საბერძნეთში დაისვენა 40 ბავშვმა.





## სტუმრები აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში

იტალიიდან - კლაუდიო კაპიტანი, ჯაკობ მარკუსი, ლუკა მატიოლი.
ასოციაცია „რონდინე მშვიდობის ციტადელი“.



აფხაზეთიდან დევნილი სუმოისტი, ლევან ცაგურია (კოკაი), მსოფლიო ჩემპიონი კარატეში გოგიტა არქანია და ზაურ მეშველიანი - მსოფლიო მათემატიკური ოლიმპიადის გამარჯვებული სტუმრად აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში.







## აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის პრიორიტეტი-ახალგაზრდობაზე ზრუნვაა

საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის ინიციატივით 2013 წლის 23.08 №218 დადგენილებით სოციალური პროგრამის ფარგლებში დააფინანსა 90 სტუდენტი, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასწავლებლები დაამთავრეს.

## „მშვიდობის მარათონი“

❖ ქართველი, აფხაზი, ოსი ეროვნების, შერეული ოჯახების ბავშვები და მათი ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ სლოვაკეთში „ჯინო ფარადაისის“ დამფუძნებლის ნოდარ გიორგაძის ინიციატივით და მასპინძლობით. მხარდამჭერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოში ლიტვის საელჩო, ფონდი „სარაჯიშვილი“, თბილისის ვაკის მუნიციპალიტეტი.







❖ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ შექმნილი ფონდი „დღეს“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლების სამინისტროების დახმარებით დაფინანსდა ანა ყიფიანის და ვაჟა მანიას სწავლა (ბერკლი - აშშ, რუსეთი - მოსკოვის კონსერვატორია).

**პროგრამის „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“ ფარგლებში სრულად თანადაფინანსდა 54 სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა და გამოიყო 40000 ლარი**





❖ შემეცნებითი პროექტი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის - „ჩემი აფხაზეთი“, „მშვიდობის კვირეული“, გალის საგანმანათლებლო ისტორია-საღამო „სამურზაყანო იმედის ხიდი“, „სექტემბრის ნაკვალევზე“ 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების გაცნობა ახალგაზრდებისათვის, ენგურის ხიდთან სოფელ რუხის ციხესთან ახალგაზრდობის შეკრება - „ერთად მშვიდობისათვის“.

❖ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებს გადაეცა 17 დასახელების 300-მდე სხვადასხვა სახის შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა.

❖ გალის რაიონის სკოლებს გადაეცა სასკოლო სახელმძღვანელოები.

❖ დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები.

❖ გალის, ზემო აფხაზეთის, განათლების ხელშეწყობისა და სასკოლო ინფრასტრუქტურისთვის დაიხარჯა 259940 ლარი.



### წლის მნიშვნელოვანი მოვლენა

**ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს შექმნა მთავრობასთან, სადაც ძირითადად აფხაზებია გაერთიანებული.**

## თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან და უნივერსიტეტებთან

„კავკასიის განვითარება“, კონფლიქტებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, „გზა აფხაზეთისკენ“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი („ალმა-მატერი“), თ.ს.უ., შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, „კავკასიის ხალხთა თანამეგობრობა“, „სინერგია“ და სხვა.



საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, მრგვალი მაგიდა თემაზე: „აფხაზეთი – გამოწვევა და ახალი მიდგომები. საჯარო დებატები: „ადამიანის უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა“.

ლეგიტიმურ მთავრობასთან ერთად სახალხო დამცველის აპარატი აქტიურადაა ჩართული დევნილთა უფლებების დაცვაში



## იგპ-თა ჯანმრთელობის დაცვა - უმთავრესი პრიორიტეტი





21-წლიანი დევნილობის პერიოდში ყველა მთავარი მიმართულების მიხედვით პროგრამების განხორციელების უწყვეტობამ მოიტანა ხელშესახები შედეგი - აღდგა ნდობა აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისა საქართველოს და მით უფრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემისადმი. სიცოცხლის ნდობა ქართველი და აფხაზი დევნილი ექიმებისადმი ის საყრდენია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ურთიერთობების, დაახლოების სამომავლო პროგრამები.

**<u>განხორციელდა:</u>**

ექიმთა ჯგუფების გასვლა სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, ქვემო ქართლში, თბილისში, ბორჯომში, კახეთში.

**სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების დროს განხორციელდა 16520 ვიზიტი. შემოწმების პერიოდში უფასოდ გაიცა 100000 ლარამდე ღირებულების მედიკამენტი.**

აფხაზეთის მთავრობა განსაკუთრებით სოლიდარულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ. გაიზარდა იმ აფხაზთა რაოდენობა, რომლებიც თავიანთ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ანდობენ „ენგურს გამოღმა“ საქართველოში მოქმედ აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.





## არ შეზღუდო გარემო

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია დევნილ ინვალიდთა, დევნილი ოჯახების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა პრობლემები. მთავრობა ცდილობს, არ იყოს შეზღუდული გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ. მთავრობამ სრულიად გადაწყვიტა ინვალიდთა ეტლების პრობლემა: დღეს უზრუნველყოფილია 40 პირი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ხელმძღვანელ პირთა შეხვედრები, მათი პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტა მთავრობის მუშაობას საუკეთესო სახით აჩვენებს.

მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინეს ღონისძიებებმა: „იბრძოლე სიცოცხლისათვის“, „სცადე, ყველაფერი გამოგივა“... სხვადასხვა სპორტულმა შეჯიბრებებმა და კონცერტებმა გარემო გაულამაზეს დევნილებს.



## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმები დევნილთა მეგობარ პარტნიორებთან

საადვოკატო ოფისი „გარანტია“, „პრივატბანკი“, ი. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფო, ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი, ეროვნული ბიბლიოთეკა, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი (დავით ტატიშვილი), ბრიტანულ-ქართული აკადემია, სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“, კლინიკა „ენმედიცი,“ ტრენინგ-ცენტრი B, ქართულ-ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი, სასწავლო ცენტრი „ერთობა“და სხვა.

## დევნილი პატიმრების უფლებებისათვის

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა ყურადღებას იჩენს დევნილი პატიმრებისადმი. (დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რეაბილიტაციის პროექტების, №11 დაწესებულებაში მთავრობის ხელმძღვანელის შეხვედრა, რეკომენდაციების შემუშავება პრობლემაზე მუშაობის აქცენტირებაა.

## ვეტერანების აქტივობისათვის



შემუშავდა პროგრამა, რომელიც სრულად მოიცავს ვეტერანთა პრობლემების გადაჭრის გზებს. პროგრამა გაეცნო ქ. თბილისის მერს. მუშავდება საკანონმდებლო და სოციალური პროექტების პაკეტები.

გააქტიურდა ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ბერკეტები აამოქმედა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა.



სამართლებრივი დახმარება გაეწია ვეტერანებს. საერთოდ, იუსტიციის დეპარტამენტისგან იძულებით გადაადგილებულ 1000 პირს გაეწია იურიდიული კონსულტაცია.

გააქტიურდა ურთიერთობები საერთაშორისო „წითელ ჯვართან“, მუზეუმთან - „მოლოდინი“ და ვეტერანთა ორგანიზაციებთან.

## განათლება და კულტურა



ლეგიტიმურმა მთავრობამ დევნილობაში შეინარჩუნა 13 საჯარო სკოლა.
2013-2014 წლებში აფხაზეთის საჯარო სკოლები 28 ოქროს და ვერცხლის მედალოსანმა დაამთავრა. აქედან 17 მედალოსანი ოკუპირებული გალის სკოლებიდანაა.

### აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა და სტუდენტებმა ამერიკაში გაეროს ახალგაზრდულ ასამბლეაში მიიღეს მონაწილეობა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში განხორციელდა პროექტი „რა? სად? როდის?“

### მხოლოდ ერთ წელიწადში 200-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა და ახალგაზრდულმა კაპელამ საბერძნეთის ქალაქ ათენში კულტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.



პრემიერა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში – „სხვა საქართველო სად არის?“, „ნავიგატორი“









2014 წლის 24 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ჩეხეთში სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი “DIAMOND’S VOICE” გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ არაერთი შეხვედრა გამართა ჩეხეთის პოლიტიკურ, მედიის, კულტურის, სამეცნიერო წრეებისა და ჩეხეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა „თეთრმა ტალღამ” არაერთი წარმოდგენა გამართა საქართველოს რეგიონებში



**ჩატარდა ქართულ-აფხაზური საღამო - „გიყვარდეს და გადარჩები“ და განხორციელდა მომავლის პროექტი - „პატივი ეცი სიბერეს“**

### სპორტი – ჯანსაღი ცხოვრებისათვის

ჩატარდა: აფხაზეთის ღია პირველობები ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, ფარიკაობაში, ჭომარდობაში;
თამაშდება: „აფხაზეთის თასი“, ჟიული შარტავას, ვიქტორ სანეევის, ნიაზ ძიაპშიპას და სხვათა სახელობის თასები;
საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში III ლიგის ჩემპიონია „ცხუმი“;
ჩატარდა 25 შიდა და საერთაშორისო ტურნირი, მონაწილეობდა 5000-ზე მეტი სპორტსმენი. მოეწყო სახელგანთქმულ სპორტსმენებთან შეხვედრა








აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ აფხაზეთის სპორტული ფედერაციებისთვის 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ჩათვლით გამოყო 190 000 ლარი.

## მხატვრები აფხაზეთიდან





აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის საზრუნავი მხატვართა ხელშემწყობი პირობების შექმნაა. წიგნში – „საქართველოს მხატვრები“ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების საუკეთესო ნამუშევრები შევიდა.



❖ გობელენის მუზეუმში აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების და 14 ბავშვის 40–მდე ნამუშევარი გამოიფინა.

❖ თბილისში, გორში, ბათუმში გაიმართა გამოფენები.

❖ ჰოლანდიაში, ქ.ლეიდენის პრესტიჟულ გალერეაში „ფრედერიკ ვან დერ ვლისტი“ აფხაზეთიდან დევნილი 4 მხატვრის ნანუშევრების გამოფენა მოეწყო – „აფხაზეთი – ჩემი სახლი“ (ნუგზარ მგალობლიშვილი, ალექსანდრე ხუბუა, ზურაბ ჭედია, დავით ბაძაღუა.)

❖, აფხაზეთის სამხატვრო სკოლა, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება ახალგაზრდა მხატვრების პერსპექტივას უწყობს ხელს.






აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზი გაიხსნა.

გამოიცა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრების კატალოგი





## იგპ-თა შემოქმედებითი და სამეცნიერო პოტენციალი

❖ გაიზარდა „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდამჭერი პროგრამის“ დაფინანსება, გამოიცა წიგნები.

❖ 2014 წელს გიორგი შერვაშიძის სამთავრობო პრემია გადაეცა 2013 წლის გამარჯვებულებს: ტიტე მოსიას – „გიორგი შერვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა,“ მანონი ბულისკერიას – ლექსების კრებული „ნედლი ნამხრევი,“ თეიმურაზ გვანცელაძეს – „აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება,“ ნატო მარშანიას – „ქედუხრელი რაინდი“.

❖ შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა გენო კალანდიას წიგნისთვის – „ფესვები“.

❖ ჩატარდა წიგნების ათი პრეზენტაცია, აფხაზეთის ეროვნული აკადემიის და ცხუმ–აფხაზეთის აკადემიების მიერ ჩატარდა 14 სამეცნიერო კონფერენცია და ხსოვნის საღამო.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეურვეობით მუშაობს ორი თეატრი, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლები, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ახალგაზრდული კაპელა და სხვა, სადაც 300-ზე მეტი დევნილია დასაქმებული





## განსაკუთრებული ფაქტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურმა მთავრობამ დააფუძნა აფხაზეთის „საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“, რადგან 2007 წელს გააუქმეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზია.



ეს არის მართალი ინფორმაციის მიწოდების გზა დევნილთათვის

## სოფლის მეურნეობის განვითარება დევნილობაში

❖ აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობის განკარგულებაშია 400 ჰა ტერიტორია დასავლეთ საქართველოში 40 ათასი კვ.მ სასათბურე მეურნეობა.
❖ „ბიზნესინკუბატორი“ – პილოტ-პროექტი სასტარტო ბიზნეს-საშუალებების მიღების, ბიზნესის ინკუბაციის, კონკურენტულ გარემოში ადაპტირებისა და დანერგვის ხელშეწყობისათვის.

## დევნილთა პირველი მოსავალი

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მხარდაჭერით გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (10 ჰა) განხორციელდა პილოტური აგროპროექტი. დასაქმებული იქნა 25 დევნილი ოჯახი, მიღებულ იქნა პირველი მოსავალი - 17 ტონა სიმინდი, რომელიც გაუნაწილდათ დევნილებს.





**ს ი ა ხ ლ ე !** საინტერესო მიმართულება -
დევნილები მეფუტკრეობის განვითარებისთვის იღწვიან.

### ბრძოლა სუფთა გარემოსთვის

❖ გაკეთდა სკვერი „აფხაზეთი“
❖ გაშენდა ტყე-პარკი „რიწა“
❖ დაირგო 4 900-ზე მეტი ნერგი
❖ დევნილებს გამწვანების მიზნით 7 ჰა ტერიტორია გადასცა თბილისის მერიამ



შეძენილი იქნა
23 სახეობის სხვადასხვა დანიშნულების ვეტპრეპარატები, ინვენტარი, რომელიც გაიგზავნა ოკუპირებული გალის 24 სოფელში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა საერთაშორისო სავაჭრო პალატის, საქართველოს ეროვნული კომიტეტის და მსოფლიო პალატების ფედერაციების წევრი გახდა





### მემორიალი - „საქართველოსთვის“ გაიხსნა 2014 წლის 7 მარტს

ღირსეულ ადამიანებს პატივს მიაგებ – თვითონ ხდები პატივცემული და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი. ეს ნიშანი ჩანს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის საქმიანობის ყოველდღიურობაში.

### ქვები, რომელთაც მეხსიერება აქვთ

თბილისში ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ „ქვების ხეივანია“. თითოეული ქვა მნახველს უამბობს ამა-თუ იმ პიროვნების ცხოვრებაზე. ლეგიტიმური მთავრობის ინიციატივით სახალხო გამოკითხვის გზით არჩეულნი იქნენ: სახელოვანი ქართველი და აფხაზი მოღვაწენი, რომელთა სახელი ამოიტვიფრა ხსოვნის ქვებზე... დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ილია ვეკუა, აკაკი ჩხენკელი, გიორგი შარვაშიძე, ამბროსი ხელაია, დიმიტრი გულია, ლეო ბოკერია, ზურაბ სოტკილავა, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, ვიქტორ სანეევი, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი (ჟორა) სიჭინავა.



**<u>პატივმიგება:</u>**
სვეტლანა ქეცბა – 80 წლის იუბილე, აფხაზეთში დახვრეტილი პოეტი ქალის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნის საღამო (ქიათურა), მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ირაკლი ყანდარელის 90 წლის იუბილე, დევნილი მევიოლინე ვაჟა ჩუბინიძის 70 წლის იუბილე, მელიტონ ქანთარიას, შოთა ბასილაიას, ჯუმბერ ბეთაშვილის, თამაზ ნადარეიშვილის, სიმონ მიმინოშვილის, გიორგი მარტიაშვილის, გიორგი ძიძარიას ხსოვნის საღამოები... დიმიტრი გულიას ძეგლის რეაბილიტაცია.
აფხაზეთის დამსახურებული არტისტის მიხეილ (ჩიტო) კაკაბაძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო და სხვა.
ომში დაღუპული მეომრების თენგიზ ძაძამიას და ნუკრი ცისკაძის ლექსების კრებულის – „მე თქვენთან მოვალ“, პრეზენტაცია.




## 2014 - საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას წელი



❖ დევნილები მიხეილ თუმანიშვილის თეატრში სპექტაკლი – „ვეფხისა და მოყმის ბალადა“;
❖ ღია პირველობები ჭადრაკში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში;
❖ ლიტერატურული კონკურსი - „ომის გარეშე“;
❖ აფხაზეთის კვირეული;
❖ ჟიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა პოლიტოლოგთა სკოლის გახსნა, კონკურსი პოეზიაში;
❖ სკულპტურული მემორიალის - „საქართველოსთვის“ გახსნა;



❖ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის, მთავრობის წევრების, დეპუტატების მიერ პატივი მიეგო გმირის ხსოვნას;
❖ ხსოვნის საღამოები: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, სენაკი



❖ ჟიული შარტავას სახელობის გამზირის გახსნა (ქ.ბათუმი);
❖ ღონიძიებების კომპლექსი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.











## ჯვართამაღლებისკენ...
## 2014 წლის 27 სექტემბერი



დევნილთა შემოწირულობებით 2013 წელს დაიწერა ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ერთად ყოფნის სურვილს, ღვთისა და მოყვასის სიყვარულს მიეძღვნა.



2014 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს აფხაზეთელებმა, საერო და საეკლესიო პირებმა სამების საკათედრო ტაძრიდან გამოაბრძანეს ხატი...





გმირთა მოედანი – უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის, ილია II აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობასთან



„ეს ჯვარი ჩამოიტანეს იერუსალიმიდან, მე მას გადავცემ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ის იქნება იქ, ვიდრე აფხაზეთს არ დავიბრუნებთ”.

ილია II

ჯვართამაღლება. 27 სექტემბერი 2014 წელი

